



ნ.ბ. ლაშვაიანი

— უღონოდ ამ სუფრეში დამეხმარე და ადებს ჩემზე იცოც!  
— ხუთი ათასი მანეთის ადებს კარდ მინდა, შე კაცო!

ISSN 0132-6015

# სუფრა

# 18

სამედიუმო  
1987



ნახ. მ. აბაშიძის

— აი, ამით მაინც მივბადით — უსიტუვოდ აკეთებენ საქმეს!

ამ წინეებზე ჰიპოთეზა ღრანკა ჩამოვიდა ვილნიუსიდან და სასწაული ამბავი ჩამოიტანა: თურმე ჰიპოთეზაში ოთხი კაპიკი ღირებულა: ტროლეიუსიც და ავტობუსიც (8+4+5:3=4) თუმცა, რატონა ხასწაული, მსგავსი რაღაცები ჩვენშიაც ხშირად ხდება. მაგალითად, არის ისეთი პურსაცხოვები, სადაც არც უმაღლესი ხარისხის პურს აცხოვნი, არც პირველი ხარისხისა და არც — შავს. სამაგიეროდ წარმატებით აცხოვნი და უმაღლესი ხარისხისად ასაღებენ პურის ახალ ხანობას „უმიკირ შავს“! მისი უპირატესობა აშკარაა: ასეთი პურის ნაჭერში ცალკე ზოლბადაა გამოყოფილი „სერიც“, შავიც და „ტრიცატკაც“. თუ ფაფას მიირთმევთ, თეთრ ზოლს წააკბეჩთ, თუ ბორშის — შავს, ხოლო თევზზე „სერია“ მისწრება!..

პურსაცხოვების გარდა ამ მეთოდით (რადია „ლევს“ ველარ იმანშვიბანი!), ეს ერთი ხანია, ბენზინის გახამართი საღებურებიც დაინტერესდნენ. შოელი რიგი ცდების შედეგად მათ მიიღეს ახალი მარკის ხაწვავი „ბ-85,125“, ანუ არც „88“, არც „88“, არც „76“ და არც კიდევ „72“, არამედ მათი საშუალო ხიდიღე (88+88+76+72:4=85,125)!

შიგადაშიგ ისეთ გორბებსაც მოპყრავს კაცი პურს, არათუ დაჭერბა, წარმოდგენაც უჭირს: თითქოს ხანდახან ნავთხა და „სალიარკასაც“ ამატებნენ, ან კიდევ ყველა-კარაქის ქარხნებმა ახალი პროდუქტი „ქარმა-რი“ შეიმუშავესო (აღბათ კარაქს+მარგარინი), მაგრამ ახე ყველაფერი თუ ირწმუნე, გული გაგისკდება და ის იქნება!..

იმ უბედურ-ნახევარმა ჰიპოთეზამ ეს ყველაფერი არ იცოდა აღბათ, თვარა ტრამვაია-ტროლეიბუსისა და ავტობუსის ბილეტების ფასის გაიმახჳენბას რა ფასი აქვს, როცა ნახევარი ქუთაისი უბილეტოდ მგზავრობს?!

ტიბეა ქაპთარაძე (ქ. ქუთაისი)

### ეკვნი უპიოთხვა ღირეატორს

„პატივცემულო რედაქციას!“ — ჩვეულებრივ ამ სიტყვებით იწყება რედაქციაში შემოსული მწრომელთა მრავალრიცხოვანი წერილები და საჩივრები. ამ სიტყვებითვე მოგვმართა თბილისში, კლარა ცაბკინის ჭ. № 46-ში მცხოვრებამა ვ. ცაბკარელმა, რომელმაც გაერთიანება „თოლიას“ № 28 მიმღებ პუნქტს. მერკვილადის ქუჩაზე რომ მდებარეობს, გასარეცხად ჩააბარა შვიდი ცალი ფარდა. ჩაბარებით კი ჩააბარა. მაგრამ უკან წამოღებისას ხსნაით გაუფუჭდა — მხოლოდ ორი ფარდა წაიღო შინ, რადგან დარჩენილი ხუთი ცალი ისე იყო დაქეილი, რომ იატაკის ტილოდაც აღარ გამოადგებოდა. აღნიშნული პუნქტის მესვეურებთან უშედეგო პოლემიკის შემდეგ ვ. ცაგარელი იძულებული გახდა საწერ მაგიდას მიხჯდომოდა და ქალბლდ-

ზე გამოეყვანა: „პატივცემულო რედაქციას...“ მხოლოდ მას შემდეგ, რაც რედაქცია ჩაერთა საქმეში, გაწიწმატებულ მიმღებსა და გაწამებულ დამკვეთს შორის გამართული პოლემიკა იმით დასრულდა, რომ ვ. ცაბკარელს გადაუხადეს დახეული ფარდების ღირებულების 50% — სულ ორმოცდახუთი მანეთი. — და ამჟამად მას პრეტენზია არ გააჩნია გაერთიანება „თოლიას“ მიმართ. კონფლიქტი თითქოს ამით ამოიწურა. მაგრამ რედაქციამ გადაწყვიტა რამდენიმე შეკითხვით მიმართოს თბილისის სახალსო დეკუბატების საქალაქო საბჭოს ღმრასკომის მოსახლეობის საუროვაცხოვრებამო მომსახურების სამმართველოს ჭიფჩიფანდის, დეკვისა და თეთრატლის რეცხვის საქალაქო გაერთიანება „თოლიას“

ღირეატორს ი. შ. ჰელიძეს:  
1. პარბად ესმით თუ არა გაერთიანების სისტემის მუშაკებს დღეისათვის უაღრესად აქტუალური სიტუაქვა „გარდაქმნის“ — მნიშვნელობა და თუ ესმით, კონკრეტულად რას აქეთებან მისი ხორცუხსნისათვის?  
2. გაერთიანების 24 საამქროსა და 78 მიმღები პუნქტის უმეტესობა ამოკრტიწებულ და თითქმის უპარბის შენობებში რომაა ბენლაგებული, რამე თუ კეთდება ამ საკითხის მოსაგვარებლად?  
3. მხოლოდ თათბირ-სამინარები და აღმინისტრაციული ღონისძიებების გატარება ქველა სახის „საუვედური“ ოღონდ არა სამსახურიდან განთავისუფლება) კმარა მწრომელთა კრებენიებისა და სა-

ჩივრების რიცხვის შემსცირებლად?  
4. რატომ არ ირაცხება თეთრატული ხშირ შემთხვევაში ხარისხიანად და ვის უნდა მოეთხოვოს კასუსი უხარისხო სარეცხი საუაღებების მოწოდებისათვის?  
5. რატომ არ გააჩნია დღემდე გაერთიანება „თოლიას“ ლაგორატორია, რომელიც დააღებენ სისტემაში შემოსული უხამიმიკატების ვარბისინაობას?  
6. როდის და ვინ უნდა შეცვალოს უკვე დიდი ხნის მოქველებული სარეცხი და საუთორო მანქანები, თუ თქვენს წარმობას სარტოდ არ ეხება ტექნიკური პროგრამის მოთხოვნები?  
აღნიშნულ შეკითხვებზე პასუხი, რომელსაც იმეღია, არ დაგვიგვიანებს ადრესატი, გამოქვეუნდება. როლანდ ჯალაღანი

— შავ პურს თეთრის ფასად ჰყიდით?  
 — თეთრი გახლავთ, ბატონო, მაგრამ ცა და ქვეყანა კიდევს  
 ხელს და გაშავდა!



ნახ. ჯ. ლომუასი

საქართველო  
 კომუნისტური

# გაყმაჯოს შვეროსანს!

ფელეტონი

უფროსი არ ვიცი და უმცროსი, ზემდგომი და ქვემდგომი, მმართველი და დირექტორი!.. თეატრი, სტუმრობა თუ პაემანი — არსად, იცოდეთ, არსად გაპარული აღარ გამოვჩნდები!.. წვერსაც მოვუშვებ და უღვაშსაც, არც წესი მადარდებს და არც ზურგს უკან ჩურჩული!.. ვისაც რა უნდა, ისა თქვას! რა, ვითომ შვეროსანი კაცი კაცი არ არის, თუ რა? პირიქით. წინათ თუ ვინმეს აფასებდნენ, წვერ-უღვაშით აფასებდნენ!

რა ბრძანეთ?! სხვა დრო იყო?!

ვითომ რატომაო?

ვინ დააწესა გაპარსვა, ვინ? სასაცილო არ არის? ჩვენ თვითონ გამოვიგონეთ, დავაწესეთ და ახლა ჩვენს მიერ დაწესებული წესისაგან ჩვენვე ვწვალობთ.

არა! ყველაფერში კაცია თვითონ დამნაშავე! ჩვენ თვითონ ვქმნით პრობლემებს და მერე ამ პრობლემების გადალახვის გზებს ვეძებთ! დაეტიე, რა, ადგილზე!.. რა გაპარსვა, რის გაპარსვა?! მოუფი წვერი და არნეინად იყავი! კანიც დაისვენებს და მალაზიებში სირბილითაც არ დაიღლები!

რატომ? იმიტომ, რომ საპარს კრემს ვერსად იშოვი!

ასაქაფებელ კრემზე მოგახსენებთ, გაპარსვამდე რომ ვხმარობთ, ოღონდ ისე არ გეგონოთ, ვითომ პარსვის

მერე რაც გვჭირდება, ის მაინც იყოს! გავონილა?! ახლა ფუნჯი! სანთლით ვერ იშოვი და თუ სადმე წააწყდი, რად გინდა?! ჩააგდებ ცხელ წყალში და ჭირი მოგჭამა — „იყო და არა იყო რა“.


ფფიქრობ და სიმწრით ვისხენებ:

ყოველდღე ვიპარსავდი, ყოველდღე და, წარმოიდგინეთ, რა დღე დამადგებოდა! ძებნამ გული გამიწვრილა!.. ერთხელაც გავბრიყვდი, მალაზიაში ვიკითხე: როდის გექნებათ-მეთქი და პასუხად დახლს იქით ჩემს სისულელეზე ისე გაეცინათ, რომ სირცხვილით დავიწვი და ფეხაკრეფით გამოვიპარე!..

მოკლედ, ამ საპარსი კრემის საშოვნელად ბევრი მირბენია და კიდევ მიმიქარავს, მაგრამ მორჩა! აკი ვთქვი, ჭკუა უნდა-მეთქი ყველაფერს, ჭკუა და მეც ჭკუა ვისწავლე, ერთი დარტყმით დიდი პრობლემა გადავწყვიტე, გაპარსვას თავი ვანებე და წვერი მოვიზარდე!.. ვითომ რითია ცუდი?! თქვენც რალა ყარაბას-ბარაბასი გახსენდებათ ჩემს დანახვაზე, თქვე კაი ხალხო?! ბარემ ისა თქვით, რამდენ ჭკვიან წვეროსანს იცნობთ!

ჰოდა, მეც იმათ რიცხვში!..

ზურაბ რცხილაძე



**მართალია**, ამ ბოლო დროს შესამჩნევად გაუმჯობესდა დედაქალაქის ავტომანქანების საწვავით მომარაგების საქმე, მაგრამ შეფერხებები მაინც არის და ავტოგასამართ სადგურთან რიგში მდგომმა რომელიმე ავტომფლობელმა რომ წაილინოს — „გამთენებელი დამისა...“, არავის გაუკვირდება. იმის გათვალისწინებით, რომ თითოეული მსუბუქი ავტომანქანის სიგრძე საშუალოდ 4-5 მეტრია, ძნელი წარმოსადგენი არ იქნება, რა მანძილზე გაიჭიმება თუნდაც ოცი ან ოცდაათი მანქანისაგან შემდგარი რიგი. ეს კი იწვევს ზედმეტ მითქმა-მოთქმას, უსაფუძვლო კორებს და, რაც მთავარია, უწესრიგობის მოყვარულთა გარკვეულ გააქტიურებას...

**ურჩნალ „ნიანგის“ სარეიდო ბრიგადამ** გადაწყვიტა ზაფხულის ერთ მზიან დღეს შეემოწმებინა მოქალაქეთა მიერ ავტოგასამართ სადგურებზე წესისა და რიგის დაცვის მდგომარეობა. პირველად № 14 ავტოგასამართ სადგურს ესტუმრა მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, სადაც შემოწმების დღეს, 10 აგვისტოს, მომხმარებელთა დიდი რიგი არ იდგა, მაგრამ წესრიგის დამრღვევი რის დამრღვევია, თუ წესიერად დაიჭირა თუნდაც პატარა რიგში თავისი ადგილი.

ეს ავტოგასამართი სადგური კეთილმოწყობილი გახლავთ. აქ დადგმული ბენზინის ჩამომსხმელი უახლესი აპარატურა ციფრებით გამოხატავს მანქანის ავზში ჩასხმული საწვავის რაოდენობას, რაც გამორიცხავს მომხმარებელსა და ოპერატორს შორის რაიმე გაუგებრობას და, აქედან გამომდინარე, ორივე მხარე კმაყოფილი უნდა იყოს აღნიშნული ჰარმონიული დამოკიდებულებით. მაგრამ, მოდი, ნუ გაგიფუჭდება ხასიათი თავარა სიცხეში რიგში მდგომ კაცს, როცა დაინახავ, როგორ შემოაგელვა ყველა არსებული წესების დარღვევით თავისი „უიგული“ (სახ. ნომერი **ლს 22-07** ვა) მისმა უმინდობილობო დროებითმა მფლობელმა **ნუგზარ გურამის ძე ორჯონიკიძემ**.

— **სახაგრომრეწვის სისტემაში ვმუშაობ სამუშაოთა მწარმოებლად.** ვინაიდან ჩემს სამსახურში სამუშაოებს უჩემოდაც კარგად აწარმოებენ, სწორედ ამიტომ მოვედი სამუშაო საათებში ბენზინის საყიდლად. ურიგოდ კი იმიტომ მივდივარ, რომ დრო არ მინდა დავკარგო, რათა ჯერ კიდევ უწარმოებელი სამუშაო რაც შეიძლება მალე ვაწარმოო... — გაგვიმართა მან სარეიდო ბრიგადის წევრებს.

ასევე ყოველგვარი წესისა და რიგის გარეშე დაიკავა „ურიგოთა“ ადგილი „უიგული“ **ფ 50-09** გრ-ის

მფლობელმა **ნუკრი ყაზბეგის ძე დემეტრაშვილმა**. — მაშ მე ურიგაშვილი აღარა ვყოფილვარ, თუ რიგში ჩამაყენებთ, — ხმამალა შემოსაბა ომარაუ დენის ძე ურიგაშვილმა და **ფ 03-68** გრ „უიგული“ მოძრაობის საწინააღმდეგო მიმართულებით შემოაგელვა ავტოგასამართ სადგურში.

ამავე ავტოგასამართ სადგურში რიგში დგომას არც ცდილა „უიგული“ **ო 28-68** გა-ს მფლობელი, რომლის ვინაობა უცნობი დარჩა ჩვენთვის, რადგან ჩვენი იქ ყოფნა რომ გაიგო, ბენზინის ჩასხმა არც კი უფიქრია, ისე მოკურცხლა სადგურიდან. „უიგული“ **ფ 53-56** გრ-ის მფლობელმა. ბენზინი კი რიგში დგომის შემდეგ ჩასხმა, მაგრამ გასამართი სადგურიდან სანაპიროზე წესის დარღვევით მარცხნივ მოუხვია და აშკარა საავარიო სიტუაცია შექმნა. წესი კი წესია და იგი ყოველთვის უნდა დავიცვათ, ვიდგებით რიგში თუ არა.

**კაფე „ჩარგალთან“ (საბურთალოზე) მისაბმელიანი ავტოცისტერნა** დგას და აქაც დგება ხოლმე ბენზინის მსურველთა რიგი. იქ კი, სადაც რიგია, არ შეიძლება ურიგოდ გაძრომის მსურველი არ გაჩნდეს. ამჯერად ურიგოდ სურდათ ბენზინის ყიდვა და სურვილიც შეისრულეს „უიგულის“ **ა 29-05** გრ-ისა და „გაზ-24“ **ბ 66-60** გა-ს მფლობელმა მძღოლებმა.

სხვა გასამართ სადგურებთან იმ დღეს, უბრალოდ, რიგები არ იდგა და ამიტომ ვერც რიგში დგომისადმი თავის ამრიგებელ მომხმარებელთა აღმოჩენა მოხერხდა, რაც სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ისინი სხვა შემთხვევაში არ გვეყოლება და უსიტყვოდ დამორჩილებიან არსებულ კანონ-წესებს. ამიტომ უურჩალი „ნიანგი“ კვლავ დაუბრუნდება ამ საჭირობოროტო საკითხს. დაუბრუნდება იმიტომაც, რომ ავტოგასამართ სადგურებთან არ იდგეს აყალმაყალი ურიგობებსა და რიგინებს შორის, რაც ზოგჯერ სერიოზულ კონფლიქტამდე მიდის, დაუბრუნდება კიდევ იმიტომ, რომ სწორედ ამგვარ კონფლიქტს ემსხვერპლა ქალაქის ერთ-ერთ ავტოგასამართ სადგურში ახალგაზრდა სპეციალისტის სიცოცხლე, იმიტომ რომ ერთი დამრღვევის საჯაროდ გაკიცხვა, სამწუხაროდ, მეორისათვის ხშირად არ ხდება ჭკუის სასწავლებელი გაკვეთილი...

მაშ ასე, წესრიგის დამრღვევებო, შეგიძლიათ თამამად იმღეროთ „მე ვარ და ჩემი ნაბადი...“, მერე კი...

**ურჩნალ „ნიანგისა“ და რესპუბლიკის სახელმწიფო ავტომინსპეციის სარეიდო ბრიგადა**

# ვაიმე ჩემო, ვაიმე ჩემო კუნახო!!!

## ფიცი მყამს...

...დღეს ჰიდრომეტეოროლოგიურ პროცესებზე აქტიური ზემოქმედების სამსახური იცავს 1,2 მილიონ ჰექტარ ფართობს. მეცნიერებმა და სპეციალისტებმა შეიმუშავეს ატმოსფერულ პროცესებზე ზემოქმედების მართვის ავტომატიზებული სისტემა „სეტყვა“. მისი დანერგვის შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდება დასეტყვის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობა.

...თითქმის სამჯერ შეამცირებს რადიოსალოკაციო სადგურების რიცხვს სეტყვასაწინააღმდეგო სამსახურის ახალი ავტომატიზებული სისტემა, რომლის სქემა საქართველოს მეცნიერებმა შეიმუშავეს.

...მოსალოდნელი ეკონომიკური ეფექტი წელიწადში 4 მილიონ მანეთს აღემატება.

## ბოლო მაკვირვებს...

...სტიქიამ კვლავ იძალა. ამჯერად კახეთში — სავარჯლოს, სიღნაღისა და გურჯაანის რაიონებში — 9 მაისს ძლიერმა სეტყვამ დიდად დააზიანა 30 ათას ჰექტარზე მეტი სასოფლო-სამეურნეო სავარგულები — საშემოდგომო, ერთწლოვანი და მრავალწლოვანი კულტურები, ვენახები... სავარაუდო ზარალი დაახლოებით 17 ათასი ტონა ყურძენი.

...12 მაისს კვლავ განმეორდა სტიქიის შემოტევა. სეტყვამ კახეთის რაიონებში დააზიანა 3280 ჰექტარი ვენახი. აქედან მოსალოდნელი მოსავალი მთლიანად დაიღუპა 2700 ჰექტარზე. სავარაუდო ზარალი შეადგენს 19 ათას ტონა ყურძენს.

...ახმეტის რაიონში 510 ჰექტარი ვენახი ერთი ხელის მოსმით გაანადგურა სეტყვამ. შემდეგ სტიქიამ თელავის რაიონში გადაინაცვლა.

...18 მაისს ღამით კვლავ ძლიერი სეტყვა დაატყდა თავს თელავის, გურჯაანისა და ყვარლის რაიონების მეურნეობებს. სეტყვამ, რომელიც 20-30 წუთს გრძელდებოდა, მნიშვნელოვნად დააზიანა ზვრები და ერთწლოვანი კულტურების ნათესები.

...20 მაისს სეტყვა მოვიდა ბორჯომში, 21 მაისს — ქარელში, ბორჯომში, თელავში, გურჯაანში, 22 მაისს — გორში, 24 მაისს — ახმეტაში, თელავში, ამბროლაურში, 26 მაისს — ახმეტაში, 4 ივნისს — გურჯაანში, ყვარელში, ლაგოდეხში, სავარჯლოში, 16 ივნისს — ბოგდანოვკაში, 19 ივნისს — ახმეტაში, 20 ივნისს — გორში, თბილისში, 25 ივნისს — ახალციხეში, 30 ივლისს — თეთრიწყაროში, 31 ივლისს — თელავში, გურჯაანში...

## სახელი ჩემი, სახრავი სხვისი!

...უნგრეთის სამხრეთში გასაშვებ კომპლექსებზე დაიღვა „ალაზნის“ ახალი თაობის რაკეტები. ეს სავსებით მშვიდობიანი იარაღია, მისი დანიშნულებაა სეტყვის გაფანტვა... სამხრეთ უნგრეთის მევენახეები კმაყოფილებას გამოთქვამენ საბჭოთა რაკეტების გამო, რომლებმაც უკვე 300-ჯერ იხსნეს მათი პლანტაციები სტიქიური უბედურებისაგან.

...ჩვენი რაკეტების სისტემა დაინერგა არგენტინაში, მალე იტალიელები დაიწყებენ მის გამოყენებას, სურვილი გამოთქვა კანადამაც, დიდი მოწონებით სარგებლობს ეს სამსახური სოციალისტურ ქვეყნებში.

გაზეთებიდან, სატელევიზიო გადაცემებიდან და სხვა წყაროებიდან ეს ქრონიკები ამოკრიბა, კითხვის ნიშანი დასვა და კომენტარები აღარ დაურთო **დონ პედრომ**


## კომენტარს ურთავს მინახი...

ამას წინათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა აღმოსავლეთ საქართველოში სეტყვის შედეგების ლიკვიდაციის გადაუდებელ ღონისძიებათა საკითხი და სეტყვის ექსტრემალურ პირობებში არაოპერატიულობისათვის საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს კონტროლის სამმართველოსა და სეტყვის საწინააღმდეგო სამსახურის მუშაობა არაადამაკმაყოფილებლად ცნო.

ნათქვამია, კარგი ბედაური მათრახს არ დაიკრავსო. დიხან! მათ რომ მეტი დისციპლინა და ორგანიზებულობა გამოეჩინათ, რესპუბლიკის მეურნეობისათვის მიყენებული ზარალი მნიშვნელოვნად ნაკლები იქნებოდა, აღარც ვენახები დაისეტყვებოდა და აღარც რაკეტებით კბილებამდე შეიარაღებული ეს სამსახური.

ფხიზლად, მერაკეტებო!  
რა ძილქუში დაგეტაკათ?  
ძილი მარტო თქვენ კი არა, მეც ძალიან მიყვარს. ჰოდა, წუხელ სიზმარი ვნახე, თქვენს მტერსა და დამაწყევარს ამისთანა სიზმარი! — მოკრიალებულ ცაზე ერთი ქულა ღრუბელიც კი არსად ჩანდა, ქვემოთ, დედამიწაზე კი უამრავი სეტყვასაწინააღმდეგო რაკეტა იდგა, რაკეტების მთელი ტევრი, რაკეტების წვეროებზე კი ორ-ორი ჭინკა იჯდა და ავისმომასწავებლად ხითხითებდა!..





— იმდენი ხანი ვაკეთეთ, რომ ტექნიკურად მოძველდა და აღარ ვიცით სად წავიღოთ!

# სასტიკი საყვედური — ჩამოქეულობა

სოსუმსურსათვაჭრობის № 1 გასტრონომის გამგეობის ხელმძღვანელმა ვ. დ. პაპელიანმა მომხმარებელს ვნ კაპიკი დააკლო, რისთვისაც მას დირექტორმა ნ. ბ. ჩაჩიბანიძემ სასტიკი საყვედური გამოუცხადა. ახია პაპელიანზე! — დროა მოეშვას სხვის ჭიბუში ხელის ფათურს!

ნ. ბ. ჩაჩიბანიძემ არც № 53 მაღაზიის (გამგე ბ. მ. ჯანთარიძე) მოლარე-კონტროლიორი მ. რ. საბვაძია დაინდო — მასაც სასტიკი საყვედური გამოუცხადა, რადგან

სალაროში 9 მანეთი და 61 კაპიკი ზედმეტი აღმოაჩნდა.

მკაცრ სასჯელს ვერ გადაურჩნენ № 38 მაღაზიის გამგე ი. ბ. კოლონია და № 1 ბასტრონომის გამგის მოვალეობის შემსრულებელი ლ. კ. მახარია. ტალონებით პარაქის რეალიზაციის შემოწმებისას პირველ მათგანს 62 კილოგრამი პარაქის დაწყლისი აღმოაჩნდა, მეორეს — 102 კილოგრამისა.

აღნიშნული სავაჭრო ობიექტების ხელმძღვანე-

ლები დიხაჯ სამართლიანად დაიხაჯნენ, რადგან, როგორც ცნობილია, ტალონით სარეალიზაციოდ გათვალისწინებული კარაქის უტალონოდ გაყიდვა მხოლოდ ერთადერთი მიზნით ხდება — უზრომელი შემოსავლის მისაღებად.

საოცარი ის არის, რომ ისეთი მკაცრი და მომთხოვნი ხელმძღვანელი, როგორიც სოსუმსურსათვაჭრობის დირექტორი ნ. ბ. ჩაჩიბანიძე, სწორედ იქ გამოავლენს უპრინციპობასა და უნებისყოფობას, სადაც ეს სულაც არ არის მოსალოდნელი.

საუწყებო კონტროლის მიერ ჩატარებული შემოწმების შედეგად გასული წლის აპრილში № 64 მაღაზიის მოლარე-კონტროლიორს ს. ს. ქარდავას, რომელსაც ადრეც არაერთი დარღვევა ჰქონდა, სალაროში აღმოაჩნდა ზედმეტი ფული — 99 მანეთი და 86 კაპიკი. წამდვილად გასაოცარია, რომ მაშინ ს. ს. ქარდავას მიმართ მკაცრი და პრინციპული ზომები არ მიიღეს. ზემოთ მოგახსენეთ, რომ № 53 მაღაზიის მოლარე-კონტროლიორს მ. რ. საბეციას სალაროში გაცილებით ნაკლები რაოდენობის ზედმეტი თანხის აღმოჩენისათვის სასტიკი საყვედური გამოუცხადა. რა მოხდა მეორე შემთხვევაში, როცა დარღვევა გაცილებით დიდია?

ერთი სიტყვით, ს. ს. ქარდავას მაშინ ეს დანაშაული „სულგრძელად აბატიეს“, ალბათ საშუალება მისცეს, კიდევ ერ-

თი დანაშაული ჩადენა — აფხაზეთის ასსრ ვაჭრობის საშინესტროს მიერ მიმდინარე წლის იანვარში ჩატარებული შემოწმების შედეგად ს. ს. ქარდავას უფრო დიდი თანხა — 107 მანეთი და 86 კაპიკი აღმოაჩნდა სალაროში ზედმეტად.

ცხადია, ამ ფაქტმა სოსუმსურსათვაჭრობის ხელმძღვანელობის — დირექციისა და ამ სავაჭრო ორგანიზაციის პროფკავშირის პრეზიდიუმის დიდი აღშფოთება გამოიწვია. დაიწერა წერილები, ჩატარდა სხდომები, შედგა ოქმები და საბოლოოდ გაკეთდა ასეთი ერთობლივი დასკვნა: იმის გამო, რომ საბჭოთა ვაჭრობის მუშაკისათვის შეუფერავალი სასციელი ჩადინა, № 64 მაღაზიის მოლარე-კონტროლიორი ს. ს. ქარდავა სამი თვით ჩამოკვეთილადს პურის მიმღებად.

ვერაფერს იტყვი, ნამდვილად მკაცრი სასჯელია!

## ნ. ჯღვისპირელი



ჩანახატი

ზაფხულობით, როცა თბილისის ხილ-ბოსტნეულის მაღაზიებს მიწის ბარაქა მოაწყდება, თითქმის ყველა მთავარ ქუჩაზე, თემქის, გლდანის, დილმის და სხვა დასახლებებში ბევრგან ნახავთ გარეთ, პირდაპირ ტროტუარზე გამართულ მაღაზიებს. უმეტესწილად გამოაქვთ კიტრი, პამიდორი, კარტოფილი, რომელიც ყურადღებას იქცევს არა მარტო უხარისხობით, არამედ, რაც ყველაზე თვალში საცემია, მიწის ჭუჭყლით.. გეგონებთ, სპეციალურად ამოუვლიათ მიწიან წყალშიო. ამიტომაც არის, რომ მომხმარებლებს მათი არათუ ყიდვა, არამედ შეხედვაც კი არ უნდათ. გაოცებას იწვევს ისიც, რომ ყველგან ერთი და იგივე სურათია, თითქოს ვაჭრობის მუშაკებს პირი შეუკრავთო. უყურებ ყოველივე ამას და ფიქრობ, თუ საკომეურნეო ბაზარში სოფლიდან ჩამოსულ გლეხს დახლზე სუფ-

თა, კრიალა, სახეს რომ გიჩვენებს, ისეთი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები ულაგია და მუშტარიც არ აკლია, სახელმწიფო სავაჭრო დაწესებულების მუშაკებისათვის არ არსებობს წყალი? ნუთუ მათთვის დაშრეტილია ყველა წყარო და ონკანი?

მრავალი ათეული წელია, ასე

გრძელდება და რატომღაც არ ვაქცევდი ყურადღებას, გვერდს ვუვლიდი ვაჭრობის შელახულ კულტურას. ახლა დუმილი არ შემიძლია, რაც უთუოდ იმასაც ნიშნავს, რომ ჩემში იძრა გამოფხიზლების სიმატომი და ეს ქნა გარდაქმნამ!

ნახ. მ. აბაშიძისა

შალვა გულუა



რა არის სოფელი და რა არის ქვეყანა

ვაიკოვსკისებურად

არა გოლგოთა, არც ჯვარცმა გზნებით, თუკი იცოცხლებ მხოლოდ ხვალამდე.. რა ადვილია უკვალო გზებით, თუ, რა თქმა უნდა, გაგიკვალავენ! არ წამოვეო ანკეხს ადვილად, ხედები ყოველი სჯულის მარებელს! ადვილი არის ტრფობა ნამდვილად, თუ, რა თქმა უნდა, შეგიყვარებენ! არ დაგაშოროს ადამის მოდგმამ, ზურგი არავის მისცე სახედნად! რა ადვილია სულელად ყოფნა, თუ გენიოსი მოჰგავს სახედარს! ეს საიდუმლოც ვმალო სანამდე? - კულუარებში ბევრს რომ დავობენ! იოლად სარდლობს გიგი სარდალი, თუ ჭკვიანები გვერდით სახლობენ! ყალბ დიდებისთვის ფუჭი მცდელობა ქნარს გადატყვს და წამიც გაჩერდეს! რა ადვილია ცდა ივითმკვლელობის, თუ, რა თქმა უნდა, გადაგარჩენენ! არა მწერლობა, არა მგოსნობა, ამის დასკვნამდე ლამის ვეწამე! -




-ადვილი არის კრიტიკოსობა, თუ, რა თქმა უნდა, დაგიბუჭავენ! მცირედისთვისაც გმადლობ, უფალო, ვერვინ დამაჭრას ხახვი ყურებზე!.. რა ადვილია, იყო უპუროდ, თუ, რა თქმა უნდა, დაგაპურებენ! თუკი არსებობს ტრფობა მარადი, ამალღებული ქვენა ვნებებზე, სულ იოლია, ალბათ, დალართი, თუ, რა თქმა უნდა, მოგიტევენ! უფლისწულს დიდხანს ამოდ ელოდა შეყვარებული გოგო იებზე!.. ადვილი არის, ალბათ, მკვლელობაც, თუ, რა თქმა უნდა, გააპტიებენ! მაინც არსებობს გრძობა ნამდვილი, ხშირად მოყვანის გულით გვენდობა! ქვეყნად ბევრია საქმე ადვილიც, დე, ზოგს - დანდობა, ზოგსაც - შენდობა!

ძნელია შენი თავის შეცნობა! რა ეშველება ამდენ შეცდომას?

გაგონიზების

(სახერის რაიონი, სოფელი ბაჯითი)



ი ბ ა ვ ი

ქალაქიდან მოფრენილი შოშია რომ ნახა,  
შეეკითხა მას გუგული ამბებს ახალ-ახალს:

- „იქ რომელი მგალობელი მოსწონთ უფრო მეტად, აი თუნდაც ჩვენს ბულბულზე რას ამბობენ ნეტავ?“
  - „უფროს უგდებენ გატაცებით მის მომხიბლავ ჰანგებს, ვისაც ჰკითხავ მთელ ქალაქში, ყველა იმას აქებს!“
  - „ტოროლაზე რა გაიგე?“ — შეეკითხა ისევ.
  - „მასაც ხობთა არ აკლია!“ — უპასუხა მყისვე.
  - „ნამგალაზე რაღას იტყვი, ახსენებენ ქებით?“
  - „როგორ არა, გამიგია მოწონების ხმები!“
- ერთხანს ღუმდა გუგული და ბოლოს ისევ ჰკითხა:
- „ჩემზე, ჩემზე რას ამბობენ, ბარემ ესეც მითხარ!“
- აქ შოშიამ უხერხულად აიჩიჩა ფრთები:
- „მაგის პასუხს მე ვერ გავცემ, რასაც მეკითხები! მე მგონია, ჩემო კარგო, არ მღალატობს სმენა, გეფიცები, შენს შესახებ არ დაუძრავთ ენა!“
  - „თუ ჰგონიათ, მაგით რამეს დამაკლებენ ვითომ? შურს ვიძიებ და ჩემს სახელს დავიძახებ თვითონ!“

გერმანულიდან თარგმნა შოთა ამირანაშვილმა

## ენის გასატეხი

აფსუსს, ფაფუ, თაფლუჭი,  
ფულის ჭამით გაუფუჭდი!

ჩაიდან ჩუნჩუნებს,  
ბელა, ჩაო, ჩაო, ჩა!  
ჩვენებური ჩაქვის ჩაი  
ჩუქჩურ ჩაის ჩამორჩა!

სკამით სკამზე სკაპასკუპით,  
ვით ვასაკა, გადავსკუპდი.

სულიკო გოგია



პარტული სალხური იუმორი

მდინარე ს უ ფ ს ა ადიდებულიყო. უცებ ნაპირს ცხენზე შემ-  
ჯღარი კაცი მოადგა და იქვე მდგომს ჰკითხა:


- სად არის აქ ფონი?
- აგერ, ბატონო! — მიაწავლა დამხვდურმა.
- შეიძლება წყალში შესვლა? — ისევ ჰკითხა უცნობმა.
- მიბრძანდით, ბატონო!
- კაცმა შეიჭრა ცხენით მდინარეში და კინაღამ დაიხრჩო, შერე ძლივს გამობრუნდა უკან.
- შეეკითხა კაცმა, ამხილრმე თუ იყო ეს მდინარე, ვერ მითხარი, კინაღამ რომ დავიხრჩე? — უსაყვედურა მან იმ კაცს.
- რა ვიცი, ძამა, იხვი შუამდგი იდგა ამ წყალში, არ დამხრჩ-  
ვალა და მეც პატარა მეგონა! — მიუგო მან.

ერთმა კაცმა სამეურნეო გადასახადი დროზე არ გადაიხადა და  
ხასოფლო საბჭოს თავმჯდომარე დაემუქრა: — მე არ ვიყო კაცი,  
თუ ფინგანიდან ინსპექტორი შუალამით არ მოგიყვანო ხახლშიო.  
მართლაც, თავმჯდომარე და საფინანსო განყოფილების ინს-  
პექტორი ღამის პირველ საათზე მიადგნენ კარს.  
მასპინძელმა თავაზიანად გაუღო სტუმრებს კარი.  
— ა, ბატონო, ურჩი ვადამხდელი! — უთხრა თავმჯდომარემ  
ფინგანის წარმომადგენელს.  
— ორივე სულელი ხართ თქვენ! — გაიცინა მასპინძელმა, —  
დღისით არ მქონია ფული შარვლის ჯიბეში და ამ ღამით საცვლის  
ჯიბეში მექნება?

რესტორანში ქეიფობენ ბოლოს, როცა დანახარჯი მოითხო-  
ვენ, ოფიციატმა სამმაგი უანგარიშა.  
— ბიძიკო, მაგი თანხა საანგარიშოზე იანგარიშე, თუ რაც ენა-  
ზე მოგადგა, ის თქვი? — გაიცინა თამადაძე.

შეკრიბა გერმანე მელიქიძე

## ნახ. ნ. ასლამაზიშვილისა



უსიტყვოდ

9



— ღომენტიჩ, გამოუშვი ეგ ხალხი, გეგმა გვეფუშება!  
 — შენ რა, ეს თათბირი უგეგმო ხომ არ გგონია!


**ბახსონი,** ალბათ, ნავის მანქანის მოსვლის წინააღმდეგ, ყოველ დილაღრიან ზარი რომ რეკავდა. რა დაგვიწყებთ ლოგინდის ქის-რისტებით წამოხტომას, ანაზღვეულ კიბებზე დაშვებულ და წყნარ ხევრალ შიშველ მუზობლებში გარევის, საქაოდ გრძელ რიგში დღე-მასა და ერთმანეთის თვალთვალს. მენაგვეები ხალხს ლანძღავდნენ, ხალხი — მენაგვეებს, იყო ქოთქოთი, დავიღარაბა, ნიჩბებისა და ენების რაილი. ზოგჯერ მანქანა არ მოვიდოდა, მაგრამ განავის ზა-რი ძილში მაინც ჩაგვესმოდა და ქუჩის მარაქაში ისევ გავერეოდით. ერთმანეთის გვერდით დანაღვლიანებულნი იდგნენ ნავით ყელამდე სავსე სათლები იდგნენ და ამოდ ელოდნენ. მერე დატრიალდებოდ-ნენ პარიფანეთანები, ჰოდა, ქუჩა გინებთა და ნავით ივსებოდა... ვინ იცის, რა დაგვემართებოდა, მეყველად სანაგვე მანქანები რომ არ გამჭრალიყვენ. სამაგიეროდ დადგეს შავად შეღებულნი, უსახური ყუთები, ერთადერთ სამაქულად ცეცხლის გადასახული ნები რომ უჩანთ. დადგეს ყველაზე თვალსაჩინო ადგილა, გამომ-წვევად, თითქოს თავმოსაწონებლად. დიდებული სანახაობაა, უკე-თესს ვერც იხატრებ. ძველად ნავის ყუთებს საღდაც ეზოს მიერუე-ბულ კუთხეში მალავდნენ, ახლა სააშკარაოზე გამოუტანიათ, თით-ქოს ახლანდელ ნავის განსაკუთრებული მიზიდულობა შესძენოდეს. ნავიდან თავის დაღწევას მიზნით ქალაქელებმა ერთი ალიაქოთი ატყეს. წერეს, წერეს და საბოლოოდ მივიღეთ ნავის ყუთების სა-ერთო-საქალაქო გამოფენა. ვინც ეს მოიფიქრა, დაე, მის გემოვნე-ბაზე ნუაფერს ვიტყვით, ისედაც ყველაფერი ნათელია. ამჭერად მეც გავკადნიერდები და მათ, რომელთაც ნავისაგან დედაქალაქის დანსნა ევალდებათ, ერთ რაციონალურ წინადადებას შევთავაზებ. გამოგონებისათვის პონორარზე დიდსულოვნად უნარს ვამბობ, იღ-ონდ გვეშველოს და პირად სარგებლობას რას დავეძებ!.. ბატონებო, მოდი, ეს ქოფაკი ძაღლებივით წამოყუნტული ყუ-თები მიწაში ჩავმარბოთ, ჰერმეტულად დავხუროთ, ისეთი ავტომა-ტური სარქველი მოვუწყუთ, ფეხის დაჭერით რომ აიხდება, ჩვეყ-რით ნავის და დაიხურება. ღამით გვიან ან დილაღრიან, როცა ქუჩა ცარიელია, მოვა ნავის მანქანა, ყუთს დაცლის და ყველაფერი კარგად იქნება, ასე იოლად გადაწყდება საუკუნის პრობლემა. მე რომ მართლა ვინმე დამიჭერბდეს, მსგავს მიწისქვეშა დასულ ყუ-თებს დიდი სახლების სანაგვე არხის ქვეშაც გავაკეთებდი, ჰოდა, მოზინადრებებს და გამველლებს ამარბენი სუნისა და ხიზინძური-საგან დავინხიდი. ბევრი ვიფიქრე და სხვა გამოსავალს ვერ ვხე-დავ. თუ ეს წინადადება არ მოგწონთ, მაშინ „გზა ხსენისა“. იქნებ თქვენ გამოხანოთ. ხამწუხაროდ, რაც აქამდე სცადეთ, არაფერმა არ გაამართლა, არადა ნავის ხომ არ უნდა შევეწიროთ თბილი-ხელები?!

ლ. შაჟირული



მწკრივალს წყურვილს რომ უკლავს და დაღლილს  
 შატებს ენერჯიას. —  
 ვაშლის, ურძნის, ტყემლის, პერმის და ქლიავის  
 წვენიბია!  
 თუ ძალიან დაილაღეთ, დალასლახებთ, მიირწვივით,  
 სულ თხახავით გაკუნტრუშებთ ერთი ჭიქა ხილის  
 წვენი!  
 იქნებ მაღა გაგიუფუქდათ. — უბა გვარდებთ ხშირი  
 თვლებით, —  
 ერთ უფთ საქმელს შეგასანსლებთ ერთი ჭიქა ხილის  
 წვენი!  
 ჭამის წინ და ჭამის შემდეგ, უწნევომ თუ სავსემ  
 წნევით,  
 ხვით ქლიავის, ტყემლის, ურძნის, ვაშლისა და  
 პერმის წვენი!  
 სახლში, კარში, სამხახურში, ყინვაა თუ მზეა მწველი,  
 ხვით წვენები, მაგრამ ერთს გთხოვთ: არ იკითხოთ, რა  
 ღირს წვენი!..

რეკაზ მსახიფივილი



ნახ. 3. კუციანი

უსიტყვოდ

7-87

შეერთებული შტატების კონსტიტუციამ საბოლოოდ დაკარგა ფასი ამერიკელი ხალხის თვალში. როგორც მოსწავლეთა ამასწინანდელმა გამოკითხვამ გვიჩვენა, მათ არავითარი წარმოდგენა არა აქვთ კონსტიტუციაზე, ა პროცენტი კი თვლის, რომ მისი ერთ-ერთი ავტორია... პრეზიდენტი რეიგანი.

ჩემოფასეხული სამონელი



643

30-1X 87

ჩაწოლილი „ფართო მოხმარების“ საგნები

ნახ. ვ. ლომიძისა



სატირო-გი  
ქართული  
ჟურნალი „ნიანგი“ № 18  
(1748). სექტემბერი. გამოსვლის 1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორის მოადგილე  
გეგან სისარულიძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადგიშვილი  
(პასუხისმგებელი მდივანი),  
კახუა ამირეჯიბი, ნომადი  
ბართია, ზაურ ბოლქვაძე  
(მთავარი რედაქტორი),  
ბორის გურგულია, რევაზ  
თვარაძე, ჭემალ ლოლუა,  
ნოდარ მალაზონია (მხატვარ-  
რედაქტორი), ალექსანდრე  
ხამხონია, ჯანსუღ ჩარკვიანი,  
თამაზ წიგწივაძე, ნაფი ჯუსხიითი.

ტექნიკური რედაქტორი  
ირაკლი ღუნღუა

გადაცემა ასაწყობად  
21.08.87 წ. ხელმოწერილია  
დასაბეჭდად 28.09.87 წ.  
ქალაქის ზომა 60x90<sup>1</sup>/<sub>8</sub>, ფიზიკური ნაბეჭდი  
ფურცელი 1,5, სააღრიცხვო-  
საგამომცემლო თაბახი 1,94,  
საქართველოს კაცის გამომცემლობა,  
ლენინის 14. შეკვ. 2006,  
უფ. 04892, ტირაჟი 145.000.  
ქურნალი გამოდის თვეში  
ორჯერ. რედაქციაში შემოსული  
მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 880008.  
თბილისი-8, რუსთაველის პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-55-54,  
მთ. რედ. მოადგილის — 93-19-42,  
პ/მგ მდივნის — 93-10-78,  
მხატვარ-რედაქტორის — 99-02-38,  
განყოფილებათა გამგებების — 93-49-32,  
რედაქტორ-ლიტმუშაკების — 99-02-38,  
მდივან-მემაქვანის — 99-76-69.

სატირიკო - юмористический журнал «НИАН-ГИ» (На грузинском языке). Тбилиси, пр. Руставели № 42. Издательство ЦК КП Грузии, Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, улица Ленина № 14.

ფასი 20 კაპ. ინდექსი 76137

КОНТРОЛЬНЫЕ